

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №37**

ქ. თბილისი

29.08.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), სხდომის თავმჯდომარე;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, სხდომის მდივანი;

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფ - PMCG-ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი:

ვახტანგ ლეჟავა - რექტორი;

ნათია სამუშია - პრორექტორი;

მარინა ქარჩავა - პრორექტორი;

რევაზ ხოფერია - ხარისხის სამსახურის უფროსი;

თეო ურუშაძე - აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

ბესარიონ ლასარიეშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

კახაბერ დიდებულიძე - პროფესორი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

გიორგი დაღანიძე - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

ირმა გრძელიძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნუგზარ თოდუა - პროფესორი;

თემურ შენგელია - პროფესორი;

ირაკლი კოვზანაძე - პროფესორი;

დავით ნარმანია - პროფესორი;

დემურ სიჭინავა - პროფესორი;

იოსებ ხელაშვილი - პროფესორი;

ეთერ ხარაიშვილი - პროფესორი;

მარინა ჩავლეიშვილი - პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

მარინე რამიშვილი;

გიორგი ჭითაშვილი;

ეკა გეგეშიძე;

დავით ცირამუა;

ნინო დგვევაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 13:50 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა. აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, დიმიტრი ჯაფარიძეს.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4

პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ პროგრამების სპეციფიკის, მათი შინაარსისა და ექსპერტთა ჯგუფების შემადგენლობის გათვალისწინებით, პირველი და მეორე საკითხების, ასევე მესამე და მეოთხე საკითხებზე ექსპერტთა რეკომენდაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლების მოსაზრებების მოსმენა და განხილვა მომხდარიყო ერთდროულად. საბჭოს დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ინიციატივას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა დაფიქსირებული, შესაბამისად წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
კვალიფიკაციის დონე		მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	ვეტერინარიის მაგისტრი, 0102
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		307

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
კვალიფიკაციის დონე		მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	-----
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		60

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრებმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და თეო ურუშაძემ განაცხადეს თვითაცილება განსახილველ საკითხთან მიმართებით, ვინაიდან ისინი საქმიანობდნენ აღნიშნულ უნივერსიტეტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ლევან გორდეზიანს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ორივე საკითხის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოადგენდა საერთაშორისო ექსპერტი თომას ჯეიმს ანდერსონი, რომელიც სხდომაზე ჩაერთვებოდა Skype-ის მეშვეობით და ისაუბრებდა ორივე საკითხთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ ძირითადად პროგრამები შესაბამისობაში იყო აკრედიტაციის სტანდარტებთან. მან საბჭოს წევრებს თავდაპირველად გააცნო ის რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამას:

- პროგრამის მიზნები მიზანშეწონილია დაიწეროს ისეთი ენით, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნების მკაფიო და გაზომვად შეფასებას და ნათლად დაუკავშირებს მათ შეფასების შედეგებს;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს შეფასების გეგმა, რომელიც ასახავს თუ როგორაა პროგრამის საფეხურის მიზნები კურსის შეფასების შედეგებით აღწერილი;
- მიზანშეწონილია პროგრამის და სასწავლო კურსის შედეგების გაწერისას, კერძოდ სწავლის შედეგების ცოდნის, ქცევითი და ემოციურ მხარეების ისე გაწერა, როგორც ეს არის აღწერილი ბლუმის ტაქსონომიაში, ისე, რომ პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე და გაზომვადი;
- საჭიროა მოხდეს პროგრამის განვითარების პროცესში სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგების სწორი შედგენა, ისე, რომ კურიკულუმის რუქა, სწავლის შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირის მეშვეობით, იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას;
- საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობა პროგრამის შედეგებთან;
- საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობა შეფასების მეთოდებთან;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში უკეთ გაიწეროს ქცევითი და ემოციური სწავლის შედეგების შეფასება.

რაც შეეხება ვეტერინარის მოსამზადებელ პროგრამას (60 კრედიტი), რეკომენდაციები შეეხებოდა:

- პროგრამის მიზნები მიზანშეწონილია დაიწეროს ნათლად, გაზომვადად და მკაფიოდ, რათა მოხდეს მათი დაკავშირებას შეფასების შედეგებთან;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს პროგრამული დონის შეფასების გეგმა, რომელიც აღწერს თუ როგორაა თავის მხრივ აღწერილი პროგრამის მიზნები სასწავლო კურსის შეფასების შედეგებით;
- მიზანშეწონილია პროგრამის და სასწავლო კურსის შედეგების გაწერისას, კერძოდ სწავლის შედეგების ცოდნის, ქცევითი და ემოციურ მხარეების ისე გაწერა, როგორც ეს არის აღწერილი ბლუმის ტაქსონომიაში, ისე, რომ პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე და გაზომვადი;
- საჭიროა მოხდეს პროგრამის განვითარების პროცესში სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგების სწორი შედგენა, ისე, რომ კურიკულუმის რუქა, სწავლის შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირის მეშვეობით, იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას;
- საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობა შეფასების მეთოდებთან;
- საჭიროა სასწავლო კურსების სილაბუსებში უკეთ გაიწეროს ქცევითი და ემოციური სწავლის შედეგების შეფასება.
- მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო კურსების განმავლობაში შეძენილი უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ შენიშნა, რომ მისთვის უცნაური იყო რეკომენდაციები, კერძოდ პროგრამის მიზნებისა და შედეგების ენის შესახებ. მისი თქმით, ექსპერტს არ უხსენებია ბლუმის ტაქსონომია და აღნიშნა, რომ არსებული შენიშვნა მისთვის გაურკვეველი იყო.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულებების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვეტერინარიის პროგრამა მათთვის იყო პრიორიტეტული. მან აღნიშნა, რომ განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გარკვეული გაურკვევლობა შეიტანა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესსა და პროგრამის აქტივობაში, თუმცა მისი თქმით უნივერსიტეტმა ყველაფერი გააკეთა საუკეთესო შედეგების მისაღწევად. დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი, რომ უნივერსიტეტმა წარმატებით შეასრულა ყველა ამოცანა, რომელიც დაისახა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ენის მკაფიოებაზე საუბარმა გამოიწვია გაურკვევლობა. ასევე, მან აღნიშნა თარგმანის ხარვეზების შესახებ. მან ასევე, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი თავისუფალია სწავლის მისთვის მისაღები მეთოდების არჩევაში და აღნიშნა, რომ ექსპერტებისაგან გარკვეული მეთოდების ნეგატიური შეფასება არ იყო მისაღები დაწესებულებისათვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზოგიერთი რეკომენდაციის გათვალისწინებას შეიძლება ზიანიც კი მიეყენებინა პროგრამისათვის.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, თუ რატომ ეწერა დასკვნაში, რომ კურიკულუმის რუკა წარმოადგინეს მეორე დღეს და შეესაბამებოდა თუ არა ეს რეალობას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საწყის დოკუმენტებში ცენტრს მათთვის არ აღმოუჩენია ხარვეზი, ხოლო უშუალოდ ვიზიტისას დამატებითი დოკუმენტი წარმოადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოთხოვნის შედეგად.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტისას დაწესებულებას შეეძლო დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენაც. საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, კეთდებოდა თუ არა დაწესებულების მხრიდან აქცენტი ცენტრის ხარვეზზე.

ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა აღნიშნა, რომ ცენტრს არ ჰქონდა განაცხადის შინაარსობრივი კუთხით დახარვეზების უფლება. შესაბამისად, სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენის ეტაპზე, ცენტრი ამოწმებდა განაცხადის ფორმალურ მხარეს, რამდენად აკმაყოფილებდა განაცხადი კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, კერძოდ სრულად არის თუ არა წარმოდგენილი აკრედიტაციის დებულებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. პროგრამის კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო მხოლოდ კომპეტენციების რუკა, ხოლო მას შემდეგ რაც ჯგუფის თავმჯდომარემ მოითხოვა ეს დოკუმენტი, უნივერსიტეტმა ის მოამზადა და წარმოადგინა ვიზიტის მიმდინარეობისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტი არ მომზადებულა იმ დღეს და დაწესებულებას ის უკვე ჰქონდა შემუშავებული და დაამატა, რომ აქ საკითხი უფრო იმაში იყო, რომ თავმჯდომარეს თავად ჰქონდა წინასწარი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა წარმოედგინა დაწესებულებას.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საბჭო ვერ განიხილავს იმ დოკუმენტებს, რაც არ იყო ოფიციალურად წარდგენილი და განმარტა, რომ მისი კითხვა მდგომარეობდა იმაში, იყო თუ არა წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა დოკუმენტაციის საწყის პაკეტში. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი, მოსაზრებით, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი უკვე გაეცა, როგორც დაწესებულების ისე ცენტრის მხრიდან, რომ დოკუმენტი წარდგენილ იქნა ვიზიტის მიმდინარეობისას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვეტერინარიის პროგრამას ძალიან დიდი მნიშვნელობისა ჰქონდა ფაკულტეტისათვის. მან თქვა, რომ პროგრამა იყო წინასწარ განხილული სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ძალიან კარგად ესმოდა საკუთარი პასუხისმგებლობა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ რამდენ სტუდენტზე იყო გათვლილი პროგრამა, რადგან მისი თქმით ლექტორთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპზე თითო კურსზე, არსებული ვეტერინარიის საბაკალავრო პროგრამიდან დაახლოებით ორმოცამდე სტუდენტი გადავიდოდა მობილობის გზით ახალ პროგრამაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ეცადა, თითოეული კურსისათვის სპეციალურად შეერჩია სპეციალისტები. მისი თქმით, პროგრამაში მონაწილეობდნენ საჯარო მოხელეებიც. ასევე, პროგრამის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ დამსაქმებლები სხვადასხვა კომპანიებიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიზნების მკაფიოებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია არ იყო მისაღები უნივერსიტეტისათვის, რადგან მისი თქმით პროგრამა შესაბამისობაში იყო ვეტერინარიის მიმართულების დარგობრივ სტანდარტთან. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც მისი თქმით, ასახული იყო პროგრამის მიზნების დარგობრივ სტანდარტთან იდენტურობა. დაწესებულების წარმომადგენელმა დეტალურად განუმარტა საბჭოს წევრებს, თუ როგორ იყო დაკავშირებული პროგრამის სხვადასხვა მიზნები სწავლის შედეგებთან. ასევე, მან აღნიშნა, რომ პრობლემები ამ საკითხთან დაკავშირებით ძირითადად წარმოიქმნა თარგმანის გამო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში იყენებდნენ ბლუმის ტექსტს. ასევე, მან აღნიშნა, რომ კურიკულუმის რუკას პროგრამა აქტიურად იყენებდა და ის არ იყო შექმნილი მხოლოდ ექსპერტებისათვის წარსადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა დოკუმენტები, რომლებიც პასუხობდნენ ექსპერტთა კომენტარებს შეფასების მეთოდების შესახებ. მისი თქმით, უნივერსიტეტში ხდებოდა სწავლის შეფასების, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზებით. აღნიშნულისა დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა მოიყვანა მაგალითები სხვადასხვა საგნებიდან, კერძოდ, მაგალითად - ვაქცინოლოგიის კურსზე შეფასება ხდებოდა ყოველ ლაბორატორიულ სამუშაოზე. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ძირითადი პრობლემა იყო თარგმანისა და ექსპერტის კონკრეტულ შეხედულებაში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადავიდეს დარგობრივი სტანდარტები პროგრამის დოკუმენტებში.

აკრედიტაციის ადგილობრივმა ექსპერტმა, მარინე რამიშვილმა დადებითად შეაფასა უნივერსიტეტის მიერ გაწეული სამუშაო. მან აღნიშნა, რომ როგორც ინტეგრირებულ, ისე ვეტერინარიის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაში, მხოლოდ 2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, დანარჩენი სტანდარტები კი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მისი თქმით, ასეთი შეფასება ძირითადად გამოწვეული იყო კურიკულუმის რუკის საკითხით. მან აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებაში ნამდვილად მუშაობდნენ ქვეყნაში ამ მიმართულებით არსებული საუკეთესო ექსპერტები. ექსპერტმა განმარტა, რომ კურიკულუმის რუკისა და პროგრამის ენასთან დაკავშირებით უმჯობესი იქნებოდა კითხვის საერთაშორისო ექსპერტისათვის დასმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ასევე იყო გარკვეული პრობლემა შეფასების

მეთოდებთან დაკავშირებით და რომ საერთაშორისო ექსპერტმა მისცა რჩევა უნივერსიტეტს, რომ გამოყენებინათ მაგალითად ოსკის მეთოდი. სხვა მიმართულებით კი, ექსპერტის თქმით ყველა საკითხი ჯგუფის მიერ პოზიტიურად იყო შეფასებული.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ თარგმანი არ იყო დიდი პრობლემა, რადგან საბჭოს წევრებს შეუძლიათ გაეცნონ, როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან დოკუმენტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასებისას უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს მისი შინაარსი და არა მისი ფორმა. ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსად იყო განმარტებული, თუ რა სახე უნდა ჰქონდეს კურიკულუმის რუკის ტიპის დოკუმენტებს და ასეთ რეკომენდაციებს მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონოდა აზრი, თუკი ეს იქნებოდა საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ იკითხა, თუ იყო შესაძლებელი ზოგადი და ორგანული ქიმიის საწყისი ბაზა, ბიოქიმიის სწავლის დაწყებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის სახელები და თემატიკა დამოკიდებული იყო დაწესებულებაზე და მისი თქმით მთელი რიგი თემატიკები ეხებოდა უფრო ფართო საკითხებსაც. მან აღნიშნა, რომ ეს ბაზა საკმარისი იქნებოდა ბიოქიმიის სწავლისთვისაც.

15:34 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

15:55 საათზე საბჭოს სხდომა განახლდა.

15:55 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, ორ სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, საბჭო მიიჩნევდა, რომ პროგრამას შესაძლოა მინიჭებოდა აკრედიტაცია და დაწესებულებას კურიკულუმის რუკისა და პრაქტიკული შედეგების შეფასების შესახებ წარმოედგინა ანგარიში 6 თვის ვადაში.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული

უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. საბჭომ დაწესებულებას განუმარტა, რომ ანგარიშის წარმოდგენა უნდა მომხდარიყო კურიკულუმის რუკისა და პრაქტიკული შედეგების შეფასების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან ვეტერინარიის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, ორ სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, საბჭო მიიჩნევდა, რომ პროგრამას შესაძლოა მინიჭებოდა აკრედიტაცია და დაწესებულებას აქაც კურიკულუმის რუკისა და პრაქტიკული შედეგების შეფასების შესახებ წარმოედგინა ანგარიში 6 თვის ვადაში.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. საბჭომ დაწესებულებას განუმარტა, რომ ანგარიშის წარმოდგენა უნდა მომხდარიყო კურიკულუმის რუკისა და პრაქტიკული შედეგების შეფასების შესახებ.

საბჭოს სხდომას კვლავ წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ელიზბარ ელიზბარაშვილი.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
კვალიფიკაციის დონე		მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით		ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 02
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
კვალიფიკაციის დონე		მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით		ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, 02
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხებთან მიმართებით, ვინაიდან ის საქმიანობდა აღნიშნულ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ჩაერთო სკაიპით. თავმჯდომარემ საბჭოს დეტალურად გააცნო რეკომენდაციები ორივე პროგრამის შესახებ.

საბაკალავრო პროგრამაზე, რეკომენდაციები შეეხებოდა:

- სტუდენტების გამოკითხვების შედეგებიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ კონკრეტული მოქმედების გეგმის შემუშავების საჭიროებას: საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაციის, სასწავლო კურსების შინაარსის გაუმჯობესების, უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურის სასწავლო პროგრამაში ჩართვის მიმართულებით. უფრო მეტი ყურადღება დათმობას სტაჟირებების ორგანიზებისა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებისათვის და ამ პროცესში დამსაქმებლების აქტიურ ჩართვას.
- დაწესებულების მხრიდან დეტალურად გარკვევას იმის მიზეზში, თუ რატომ აფასებს სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებული ცოდნის ხარისხს არაადამაკმაყოფილებლად და იმაზე ზრუნვას, რომ განაახლოს პროგრამისა და ცალკეული კურსების შინაარსი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე.
- პროგრამისათვის აკადემიური წერის სასწავლო კურსის სავალდებულოდ დამატებას, რადგან სასწავლო კურსები ითვალისწინებენ რეფერატებისა და პრეზენტაციების მომზადებას, სასწავლო გეგმაში კი ეს კურსი არ არის გათვალისწინებული.
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოკვეთილი, მეტი კომპიუტერული უნარების საჭიროებიდან გამომდინარე კურსის: „ფირმის მონაცემების ელექტრონული დამუშავება“ სავალდებულო მოდულში ჩასმას ან ცალკეულ მოდულში, სპეციფიკიდან გამომდინარე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების სასწავლო კურსის გათვალისწინებას.
- „მმართველობითი აღრიცხვის“, როგორც ძირითადი საფაკულტეტო საგნის დამატებას.
- „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ სასწავლო კურსის ჩანაცვლებას „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსით.
- სასწავლო კურსი „ინტერნეტ მარკეტინგის“ სასწავლო თემატიკის განახლებასა და ახალი სახელმძღვანელოს დამატებას.
- სასწავლო კურსის „კორპორაციის ფინანსების“ შინაარსის ბრეილისა და მაიერსის „კორპორაციის ფინანსების საფუძვლები“ სახელმძღვანელოს დაყრდნობას.
- სასწავლო კურსის „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2“ განკუთვნილი კრედიტების დათმობას „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სწავლებისათვის.
- ფინანსების მოდულში სასწავლო კურსი „საბანკო საქმე“-სათვის 2 სემესტრისა და 10 კრედიტის ნაცვლად 1 სემესტრისა და 5 კრედიტის დათმობას.
- პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო კურსების წამყვანების მიერ „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსის სწავლების შესახებ ერთიან მიდგომაზე შეთანხმების საჭიროებას.
- სტუდენტთა ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატის გადახედვასა და სტუდენტების საჭიროებებს მორგებას.
- სტუდენტებისათვის ყველა იმ მარეგულირებელი დოკუმენტის გაცნობას, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ შეზღუდვებს და ვალდებულებებს, რომელსაც დაწესებულება უყენებს სტუდენტებს, მათ შორის აქცენტის გაკეთებას პლაგიატზე და მასზე რეაგირების მექანიზმებზე;
- სტუდენტებისათვის ყველა იმ სერვისის გაცნობას, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში მათი უფლებების დაცვას ან მათი იდეების დაფინანსებას;
- სტუდენტებთან საკომუნიკაციო არხების გადახედვას და ინფორმაციის ეფექტური გავრცელების უზრუნველყოფას.

- სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების ან სწავლის ხარისხის შეფასების შედეგების და მათზე რეაგირების შედეგად გაუმჯობესებული რესურსების ანგარიშის სახით გაცნობას სტუდენტებისთვისაც, რათა გაიზარდოს მათი ნდობა ხარისხის შეფასების მექანიზმების მიმართ და შემდგომში გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობაც ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ კვლევებში;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მისაღწევად.
- ზოგიერთი მიმართულებით ლიტერატურის გადახალისების საჭიროებას ძირითადად მოდულებში, მაგალითად ტურიზმში, მარკეტინგსა და ფინანსებში;
- ფინანსების და აღრიცხვის მიმართულების სასწავლო კურსების ჩატარებას ინფორმაციული ცხრილების (მაგალითად ექსელის) გამოყენებით და შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიების არსებობას.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას, რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის ზოგად სავალდებულო მოდულში საგანი „ბიზნესის კვლევის მეთოდების“ დამატებას.
- პროგრამის ზოგად სავალდებულო მოდულში საგანი „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის“ დამატებას;
- არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობის შემცირებასა და ზოგად სავალდებულო მოდულის კრედიტების მოცულობის გაზრდას:
 - ფინანსური აღრიცხვა II-ის გადასვლას ზოგად სავალდებულო მოდულში და მის განსაზღვრას „მენეჯერული აღრიცხვა II“-ის წინაპირობად;
 - სტრატეგიული მენეჯმენტის მენეჯმენტის მოდულიდან გადასვლას ზოგად სავალდებულო მოდულში;
- იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში, არჩევით სასწავლო კურსებად: მენეჯერული ეკონომიკა, მმართველობითი აღრიცხვა I და ფინანსური აღრიცხვა I - ის კურსების შეთავაზება;
- „ფინანსური მენეჯმენტის“ კურსის სილაბუსის ისე გადამუშავებას, რომ მისი შინაარსი, ლიტერატურა და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებთან;
- „კვლევითი პროექტის“ სასწავლო კურსის მიზნის, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგები ცალკე დოკუმენტის სახით გაწერა;
- მოდულში „საერთაშორისო ბიზნესი“:
 - „საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის“ სასწავლო კურსის ამოღებას მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ან აღნიშნული სასწავლო კურსის დასახელებისა და შინაარსის, ასევე ლიტერატურისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას;
 - სავალდებულო სასწავლო კურსი „ლოგისტიკა“ სათვის სასწავლო კურსის სწავლის მიზნების და შედეგების შესატყვისი სახელმძღვანელოს შერჩევას.
 - სავალდებულო სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ გადატანას ზოგადი მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსად;

- „საერთაშორისო ორგანიზაციების“ სასწავლო კურსის ჩანაცვლებას მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი სხვა სასწავლო კურსით;
- არჩევითი სასწავლო კურსის „ოფშორული ბიზნესის“ ამოღებას მოდულის სწავლებიდან ან კრედიტების მოცულობის შემცირებას მაგ, 1-2 კრედიტამდე.
- „სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში“ სასწავლო კურსის ან ამოღებას მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ან აღნიშნული სასწავლო კურსის დასახელებისა და შინაარსის და სწავლის შედეგების ერთმანეთთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოსვლას.
- **მოდულში „მენეჯმენტი“:**
 - „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“ სასწავლოს კურსის შეთავაზებას ზოგად სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;
 - სასწავლო კურსის „მმართველობითი კონსალტინგის“ ამოღებას მოდულის სწავლებიდან და მის ჩანაცვლებას საფეხურის შესაბამისი სასწავლო კურსით;
 - სასწავლო კურსის „საინვესტიციო პროექტების მართვა“ ამოღებას მოდულის სწავლებიდან და მის ჩანაცვლებას საფეხურის შესაბამისი სასწავლო კურსით;
- **მოდულში ფინანსები და საბანკო საქმე:**
 - „ფინანსური სისტემა და რეგულირება“-ის კურსის სილაბუსის გადამუშავებას და შეთავაზებას მაგისტრებისათვის ფინანსური სისტემის რეგულირების სასწავლო კურსისა, რომლის თემატიკაში ასახული იქნება ფინანსური სისტემის რეგულირების აქტუალური საკითხები თანამედროვე ეტაპზე;
 - „საბანკო სისტემის საერთაშორისო რეგულირება“-ის სასწავლო კურსის დასახელების მოსვლას შესაბამისობაში შინაარსთან, ასევე მისი სილაბუსის შინაარსის ახალ ლიტერატურაზე დაყრდნობის საჭიროებას, რომელიც ასახავს არსებულ მდგომარეობას საბანკო სისტემის რეგულირების სფეროში;
- სტუდენტებისათვის ყველა იმ მარეგულირებელი დოკუმენტის გაცნობას, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ შეზღუდვებს და ვალდებულებებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სტუდენტის სტატუსზე. მათ შორის პლაგიატის შესახებ არსებული ცნობიერების ამაღლებას.
- სტუდენტებისათვის სრულყოფილი და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდებას ეფექტური საკომუნიკაციო გზებით მიმდინარე გაცვლით პროგრამებზე, აქტიურ ვაკანსიებზე, სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების შესაძლებლობებზე და ა.შ;
- სტუდენტებთან საკომუნიკაციო არხების გადახედვას და ინფორმაციის ეფექტური გავრცელების უზრუნველყოფა;
- დაწესებულების მხრიდან სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების პოზიციის გათვალისწინება და პრაქტიკის კომპონენტის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მოდულში ან ცალკეული მოდულების ფარგლებში სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსების შეთავაზება;
- სტუდენტებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის რესურსის გაცნობა, რათა სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას აქტიურად გამოიყენონ უახლესი კვლევები;

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მისაღწევად;
- ზოგიერთი მიმართულებით ლიტერატურის გადახალისების საჭიროებას მირითადად მოდულებში, მაგალითად ტურიზმში, მარკეტინგსა და ფინანსებში;

აკრედიტაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა საერთო ჯამში კარგად მუშაობდა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მზაობა პროგრამები გაუმჯობესებინა. მისი თქმით, მიუხედავად რეკომენდაციების დიდი რაოდენობისა, ისინი უფრო მეტად კონკრეტულ მოდულებს ეხებოდა და არა პროგრამების ყველა ნაწილს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამის მეორე სტანდარტი შეფასებულია ნაწილობრივ შესაბამისობით, რაც ამბობდა სიტუაციას, ხოლო სხდომაზე ექსპერტის მიერ გამოთქმული შეფასება არ შეესაბამებოდა იმ შეფასებას, რაც დასკვნაში იყო მოცემული. აკრედიტაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბევრი მოდულიდან გამომდინარე, პროგრამის რეკომენდაციები მძიმედ წასაკითხი იყო, რადგან რეკომენდაციები სხვადასხვა მოდულს შეეხებოდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების დიდი რაოდენობა არ იყო საბჭოსთვის პრობლემური და ხაზი გაუსვა, რომ მთავარია ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები იყოს სწორი და ხარისხიანი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციებზე დაწესებულებას ჰქონდა არგუმენტები. გამოკითხვისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე და ასევე, სტუდენტთა ინფორმირებულობის საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა ის ინდიკატორი, რომლითაც ხარისხი ფასდებოდა, იყო ადგილზე. მისი თქმით, უნივერსიტეტში არსებობენ კომიტეტები, სადაც წარმოდგენილი იყო ყველა დაინტერესებული მხარე, მისი თქმით პროგრამები სწორედ კომიტეტების აზრის გათვალისწინებით მტკიცდებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროცესები უკვე რამდენიმე წელია ხორციელდებოდა და თქვა, რომ მომავალში ეს საკითხები უფრო დაიხვეწებოდა. მისი თქმით, უნივერსიტეტის სხვადასხვა ორგანო ამლევდა სტუდენტებს საჭირო ინფორმაციას მათი უფლებებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. რაც შეეხება პლაგიატს, მისი თქმით უნივერსიტეტში მუშაობდა ანტიპლაგიატის პროგრამაც.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა კონკრეტული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმა საგანმანათლებლო პროგრამების გასავითარებლად. რაც შეეხება სტუდენტთა ნაწილის უკმაყოფილებას, მისი თქმით ეს დაწესებულებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი იყო დასაქმებული თავისი პროფესიით.

რაც შეეხებოდა აკადემიური წერის კურსს, მან მისი არარსებობა ახსნა იმით, რომ პროგრამაში არ იყო საბაკალავრო ნაშრომი და დაამატა, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტებს

ჰქონდათ დასაწერი წერიტი დავალებები, პროფესორები თავად წინასწარ უზრუნველყოფდნენ სწორი რეკომენდაციების მიცემას ამ დავალებების სტილისა და მახასიათებლების შესახებ.

რაც შეეხება ინფორმატიკას, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არსებული პროგრამა უკვე უვითარებდა სტუდენტებს ელექტრონულ დოკუმენტებთან მუშაობის უნარებს. რაც შეეხება ინტერნეტ-ბანკინგს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კურსში ისწავლებოდა ბევრი ისეთი საკითხი, რაც ნახსენები იყო ექსპერტთა ანგარიშში.

კორპორაციის ფინანსებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკითხები კარგადაა განსაზღვრული სილაბუსში. სტატისტიკის კურსთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნა, რომ კურსის მხოლოდ 15% ეხებოდა მაკროეკონომიკას. ხოლო, საბანკო საქმის ერთ სემესტრში სწავლებასთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს განემარტათ, რომ სტუდენტთა გამოკითხვების მიხედვით, ნახევარზე მეტი სტუდენტებისა თვლიდა, რომ მისი სწავლებისათვის ერთ სემესტრში დრო არ ეყოფოდათ.

რაც შეეხება სტრატეგიულ მენეჯმენტს, უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით ნამდვილად ორი სილაბუსი არსებობდა ამ საგნისათვის. ინდივიდუალური მუშაობის საკითხებზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი შეიძლებოდა გადახედილიყო, თუმცა ითქვა, რომ სტუდენტების ინფორმირებულობის საკითხი უკვე საკმაოდ კარგად ფუნქციონირებდა უნივერსიტეტში.

რაც შეეხებოდა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მოდერნიზაციისა და ინფორმირებულობის საკითხს აღარ შეეხებოდა, რადგან არსებითად იგივე სიტუაცია იყო, როგორც საბაკალავრო დონეზე.

კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა მარტივი პრინციპით იყო აგებული და სამი მოდულის გავლა სტუდენტებისთვის იყო სავალდებულო და მათ გარეშე, სტუდენტი ვერ გავიდოდა პროგრამის სასწავლო შედეგებზე და ვერ დაწერდა სამაგისტრო ნაშრომს.

ფინანსური მენეჯმენტის საგანზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საგანი იმიტომ იყო საჭირო, რომ ზოგიერთ სტუდენტს სამაგისტრო საფეხურზე ჰქონდა სხვა მიმართულების საბაკალავრო პროგრამა გავლილი და ეს საგანი მათთვის იყო საჭირო.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კვლევითი პროექტი იყო სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და აუცილებლად დაიწერებოდა მისი სილაბუსი. საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკაზე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ერთიანად ითვალისწინებდა რამდენიმე რეკომენდაციას.

რაც შეეხებოდა ლოგისტიკას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციას დაწესებულება ნაწილობრივ იღებდა. რაც შეეხებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების კურსს, აღნიშნა, რომ დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმებოდა ექსპერტების შეფასებას. რაც შეეხებოდა საინვესტიციო პროექტების მართვას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არ იყო სავალდებულო საგანი, არამედ იყო არჩევითი და ამ საგნის გავლის გარეშე შესაძლებელი იყო პროგრამის მიზნებზე გასვლა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფინანსების სისტემას არ განიხილავდნენ, მხოლოდ ბიზნესის დონეზე, არამედ სამ დონეზე და ამიტომაც იყო, რომ ასეთი სახით იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება მაგისტრებთან პრაქტიკის კომპონენტს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი 97% იყო დასაქმებული და მათი დიდი ნაწილი თავისი მიმართულებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველაზე დიდი პრობლემა ამ მიმართულებით, ამავე მაგისტრების საშუალო ხელფასი იყო. რაც შეეხება ინფორმირებულობასა და სტუდენტთა უფლებების დაცვას, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა სტუდენტური ომბუდსმენი და ამ სტრუქტურის არსებობა იყო უპრეცედენტო ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ რაღაც საკითხების დაზუსტება სურდა. მან იკითხა, თუ როგორ ჩატარდა და ვინ ჩაატარა ის სტუდენტური გამოკითხვები, რომელთა დაკავშირებითაც ჰქონდათ ექსპერტებს კომენტარები. ექსპერტებმა აღნიშნა, რომ კვლევა დაწესებულებამ წარმოადგინა. საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, თუ რამდენი ადამიანი მონაწილეობდა კვლევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევაში მონაწილეობდა საკმაოდ ბევრი რესპოდენტი. მისი თქმით, კვლევა ჩატარდა ავტორიზაციისათვის, რის შემდეგაც კიდევ მეტად გაიზარდა სტუდენტების რაოდენობა აკრედიტაციის პროცესისათვის.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, თუ რამდენადაა ნაკლი ის საკითხი, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა კლებულობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს საკითხი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რის გამო ხდებოდა ნაკადის შემცირება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიღების დონის დაკლების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში ეკონომიკის სწავლა გახდა უფასო. თუმცა, მანვე აღნიშნა რომ ეს საკითხი არ იყო ნახსენები კვლევაში.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სახეზეა დილემა, ერთი მხრივ, შიდა კვლევა აჩვენებს უკმაყოფილების დიდ დონეს სტუდენტებისაგან და მეორე მხრივ, მაღალია სტუდენტების მხრიდან პრაქტიკაში ამ უნარების გამოყენების მაჩვენებელი. მისი თქმით, კარგი იქნებოდა, თუკი მომავალში ჩატარდებოდა თვისებრივი კვლევა, რადგან ამოვიდოდა ისეთი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება არ უკავშირდებოდეს პროგრამულ ხარვეზს, რადგან შეიძლება მათემატიკის ნაკლებ ცოდნაშიც იყოს პრობლემა სასკოლო დონიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ დიდი რაოდენობით რეკომენდაციები ეხებოდა ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებს. მან აღნიშნა, რომ მაგალითად, ორგანიზაციულ ქცევის კურსში შემოთავაზებულია ლექტორის მიერ შექმნილი ტექსტი, რაც თავისთავად არ იყო პრობლემა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს სახელმძღვანელო არ ფარავდა საჭირო ცოდნის მესამედსაც კი, თუმცა ისიც დაამატა, რომ ლექტორს კარგად ჰქონდა წარმოდგენა იმაზე თუ რას უნდა ასწავლიდეს, რადგან შემოთავაზებული ჰქონდა დამატებით ლიტერატურაში ორი კლასიკური წყარო. ასევე, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მან ვერ ჩამოიყალიბა აზრი კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, რადგან მიუხედავად სამაგისტრო ნაშრომის სავალდებულობისა, კვლევის მეთოდები არ იყო სავალდებულო და დამოკიდებული იყო თავად სტუდენტზე, რომელმაც თავისი ინიციატივით უნდა აიღოს ეს საგანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბევრი კვლევა ჩატარდა ბოლო დროს დაწესებულებაში და აღნიშნა, რომ თვითშეფასებაში გულწრფელადაა წარმოდგენილი კვლევის შედეგები. მან დაამატა, რომ სამომავლოდ ასეთი ტიპის პრობლემა, რომელიც იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას აღმოფხვრილი იქნებოდა თვისებრივი კვლევის საშუალებით. ასევე, მან აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაოდენობის დაწევა შეიძლება დამოკიდებული ყოფილიყო მისაღებ მაღალ ბარიერთან.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, თუ სადამდე იყო აწეული მისაღები ბარიერი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბარიერი აწეული იყო 50% მდე მათემატიკაში და ეს საკითხი უკავშირდებოდა ხარისხის გაუმჯობესებას. ამავდროულად, მან ისიც თქვა, რომ შესაძლებელია სტუდენტთა რაოდენობის შემცირება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ფაკულტეტის უფასო ფაკულტეტების სიაში ჩართვასაც უკავშირდებოდეს, რადგან მაღალქულიანი აბიტურიენტების დიდი რაოდენობა, სწორედ ეკონომიკის პროგრამაზე არჩევდა წასვლას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაოდენობის შემცირება შეიძლება უკავშირდებოდეს ბაზარზე სხვა მოთამაშეების გამოჩენასაც. თუმცა, მანვე დაამატა, რომ წელს არ იქნებოდა კლება. ასევე, მან ისიც თქვა, რომ ბარიერი კიდევ უნდა გაიზარდოს. რაც შეეხება კვლევას, მან აღნიშნა, რომ მაგისტრატურაზე მოსულ სტუდენტთა ნაწილს ჰქონდა პროფესიული გამოცდილება ამ მიმართულებით და მათ აღარ ესაჭიროებოდათ კვლევის მეთოდების კურსის გავლა. საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ მხოლოდ სტუდენტების პროფესიულ გამოცდილებაზე ყურადღების გადატანა არ იქნებოდა სწორი. საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიეღოთ ისეთი სტუდენტი, რომელსაც არ ჰქონია მსგავსი პროფესიული გამოცდილება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა სამაგისტროზე არ გასულა სტუდენტი. მან აღნიშნა, რომ არ ყოფილა შემთხვევა, როცა ვინმე ჩაჭრილა სამაგისტრო დაცვაზე. რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგალითად მარკეტინგის მენეჯმენტში, იყო საკითხი კვლევის მეთოდების შესახებ.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ ლიდერობის კურსში არ იყო ასახული გარკვეული თანამედროვე ტენდენციები, როგორიცაა ტრანსფორმაციული ლიდერობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სილაბუსების მუდმივი დახვეწა. ლიტერატურისა და მისი განახლების შესახებ კი აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად თარგმნიდა და პარალელურად აწვდიდა ამ ლიტერატურას სტუდენტებს, თუმცა ისიც ითქვა, რომ ზოგიერთი ლიტერატურა მოძველებული შეიძლება ყოფილიყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ლექტორების ნაწილი ცდილობდა, რომ თავად მიეწოდებინა რიდერების სახით თანამედროვე ლიტერატურასთან დაკავშირებული საკითხები სტუდენტებისთვის. ასევე, მან აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ყოველთვის ყიდულობდა ახალ ლიტერატურას. მან ისიც აღნიშნა, რომ მაგისტრატურაში ძირითადი ლიტერატურის ქართულ ენაზე ქონის მოთხოვნამ სირთულე შეუქმნა დაწესებულებას. საბჭოს წევრებმა, პაატა ბრეკაშვილმა და ნათელა სახოკიამ იკითხეს, თუ საიდან არსებობდა ეს მოთხოვნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო საუნივერსიტეტო მოთხოვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციების ნაწილს ეთანხმებოდნენ და ნაწილს არა. მან აღნიშნა, რომ საბანკო საქმე, რომელიც ორ სემესტრად ისწავლებოდა, სპეციალურად იყო ასე დაგეგმილი, რათა სტუდენტებმა უფრო მაღალი კომპეტენცია მიიღონ ამ მიმართულებით, ამიტომაც ძალიან გაუკვირდა, როდესაც ექსპერტებმა ამაზე დაწერეს რეკომენდაცია.

17:11 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:35 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნისა და ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით, ნაცვლად ნაწილობრივი შესაბამისობისა, შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

ამასთან, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა, ცენტრს, რომ 6 თვის განმავლობაში განხორციელდეს პროგრამის მონიტორინგი.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნისა და ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით, ნაწილობრივ აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს, შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საბჭოს კენჭისყრაზე უნდა დაეყენებინა პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

17:45 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ელიზბარ ელიზბარაშვილი

ლევან გორდეზიანი

მდივანი

დიმიტრი ჯაფარიძე